

# ჟონფერენციის პროგრამა

**ორგანიზატორები:**

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი  
სამართლის მეცნიერთა კავშირი

2015



# 1. ულრიხ ჰაგენლოხი

## ULRICH HAGENLOCH

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო  
სასამართლოს თავმჯდომარე  
*Chief of Justice, President of the Court of Appeal of Dresden*

**გერმანელი მოსამართლის თვალით დანახული  
მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში**

**Reform of Judiciary in Georgia as seen through the eyes  
of a German Judge**

### რეზიუმე

ავტორმა 2015 წლის 12 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხსენებით გამოსვლის ფარგლებში მიმოიხილა მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში.

მან განიხილა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი და მოვალეობები და მიაჩნია, რომ ქართული კონცეფცია ზოგადად მისაღებია. ამასთან ის კრიტიკულად უყურებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში არსებული ძალაუფლების მასშტაბებს სხვა სახელმწიფო ხელისუფლებების მიმართ ძალთა ბალანსის ასპექტის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით ის რეკომენდაციით გამოდის, რომ მმართველობის ცენტრალისტურ ტენდენციებთან დაპირისპირება მოხდეს ცალკეულ სასამართლოებში მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოების შექმნის გზით. გარდა ამისა მოხსენების ავტორს ნაკლის შემცველად მიაჩნია ის გარემოება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე-წევრები მათი არჩევის პროცედურებიდან გამომდინარე ვერ ასახავენ მოსამართლეთა კორპუსის შიგნით არსებულ მრავალფეროვნებას. ამასთან მას აუცილებლად მიაჩნია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები დიდწილად დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კონტროლს.

მოცემული მომენტისთვის მიმდინარე რეფორმებთან დაკავ-

შირებით ავტორი მოისაკლისებს გრძელვადიან პერსპექტივაში წარმატების მომტანი კონცეფციის არსებობას. მას მიაჩნია, რომ გადამეტებული აქცენტი კეთდება სავარაუდო მოკლევადიანი წარმატებების მიღწევაზე, რაც მომავალში წარმოშობს ჩიხურ სიტუაციაში აღმოჩენის საფრთხეებს.

გარდა ამისა ავტორი მიმოიხილავს მოსამართლეთა შეფასების საკითხებს, მათ უვადო დანიშვნას, ისევე როგორც „თვითნმენდის პროცესის“ ასპექტებს. ძალზედ კრიტიკულ შეფასებას აძლევს ავტორი ქართულ დისციპლინურ სამართალს, რომელიც მისი აზრით ფუნდამენტურად არასწორ ტენდენციებს შეიცავს.

გრძელვადიან პერსპექტივაში ავტორი ემხრობა მოსამართლეთა კორპუსის შიგნით მეტი პლურალიზმის არსებობის იდეას. ის მიესალმება ღია დისკუსიის კულტურის არსებობას და მოუწოდებს თამაშის ყველა მონაწილეს, რომ გაერთიანდნენ უფრო საერთოსა და ერთმანეთთან შემაკავშირებლის ირგვლივ, ვიდრე იყვნენ ურთიერთგამმიჯნავის ძიებაში.

## RESUME

Within the framework of his presentation at Tbilisi State University on June 12, 2015 the author reviewed reform of judiciary in Georgia.

He discussed the role and responsibilities of the High Council of Justice and considers that the Georgian concept is in general acceptable. At the same time, he is critical of the scale of power of the High Council of Justice in view of the balance of powers towards other branches of Government. In this respect he recommends that the opposition towards tendencies of centralized governance be made by establishment of self-governance organs within individual courts. Apart from this, the author of the presentation considers it to be a shortcoming that judge-members of the High Council of Justice, in light of the existing procedure of their selection, do not represent the diversity that exists within the judiciary. In addition, he deems it necessary that decisions of the High Council of Justice to large extent be subject to administrative-legal control.

Presently, with respect to the current reforms, the author has noted lack of a concept for long-term successes. He finds that exaggerated emphasis is on achieving potential short-term successes which raises the risk of deadlocks in the future.

Furthermore, the author discusses the issue of assessment of judges, their lifetime tenure, as well as “self-clean” aspects. The author is extremely critical towards Georgian disciplinary regulations, which in his view, contain fundamentally wrong tendencies.

In the long-term perspective the author supports development of a greater pluralism within the judiciary. He welcomes the culture of open discussion and calls on each player to unite around something common and reconciling rather than be in the search of disjunctions.

## **2. ვალერი ხრუსტალი**

### **VALERI KHRUSTALI**

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  
სამართლის დოქტორი*

*Professor of Grigol Robakidze University and Georgian  
Technical University  
Doctor of Law*

**საქართველოს მართლმსაჯულებაში არსებული ზოგიერთი  
აქტუალური პრობლემის შესახებ**

**On some current significant problems existing  
in Georgian Justice system**

### **რეზიუმე**

ბოლო პერიოდში, გარკვეული სახის ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში,

მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც. სამწუხაროდ ზოგიერთი მათგანი არ იყო ყოველმხრივ და სრულყოფილად გააზრებული მათი ავტორების მიერ, რამაც ხელი შეუწყო ისეთი ინსტიტუტებისა და წესების დამკვიდრებას, რომლებიც არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო სამართლით აღიარებულ პრინციპებს.

მოცემულ ნაშრომში საუბარია, საქართველოს მართლმსაჯულებაში დღეისათვის არსებული ზოგიერთი აქტუალური პრობლემის შესახებ, რომელთა არსებობა არღვევს სამოქალაქო პროცესში მონაწილე პირთა უფლებებს. ნაშრომში დასაბუთებულია ამ პრობლემათა აღმოფხვრის აუცილებლობა და წარმოდგენილია მათი დაძლევის გზები.

## **RESUME**

Recently, some changes and additions have been made to several legislative acts, including the Civil Procedural Code. Unfortunately, some of them haven't been fully and thoroughly comprehended by authors, and that contributed to the establishment of the institutions and rules that are not in compliance with the recognized principles of the civil procedural law.

Present thesis deals with some current significant problems existing in Georgian Judicial system, the existence of which violates the rights of the individuals involved in the civil process. In this thesis, the necessity for the elimination of abovementioned problems is substantiated and also some solutions to problems are shown.

### **3. გურამ ნაჭყეია**

### **GURAM NATCHKEBIA**

ბრალისა და მისი ფორმების ერთიანობის პრობლემა  
სასამართლოში  
(გულგრილობის ცნება ბრალის ფორმების  
პრობლემატიკაში)

*Problem of misdemeanor and integrity of its forms in Court*  
*(Concept of indifference in the difficulty of misdemeanor forms)*

#### **რეზიუმე**

მოხსენებაში დასაბუთებულია დებულება, რომ ტერმინი “გულგრილი” ბრალის ფორმების მიხედვით ნაწილდება და სახელმწიფოს წინაშე სუბიექტის უპასუხისმგებლობის ნიშანია. კერძოდ, პირდაპირ განხრახვაში მათლსაწინააღმდეგო შედეგის გარდუვალობას სუბიექტი ითვალისწინებს, თუმცა ეს შედეგი მას არ სურს, მაგრამ გარკვეული მოტივებით ურიგდება ანუ გულგრილად ეკიდება მის დადგომას. გულგრილობის ცნება წამყვანია ევენტუალური განზრახვის ცნებაში, ხოლო ეს გულგრილობა გამოხატულია დაუდერობაშიც (სამსახურებრივი გულგრილობა — საქ. სსკ-ის 342-ე მუხლი) და სპეციფიკურად — თვითიმედოვნებაშიც.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბრალის ფორმებს ადგენს გამოძიება, რომელიც ბრალზე სავარაუდო დასკვნას აკეთებს (იხ. 169-ე მუხლის პირველი ნაწილი), ხოლო, სასამართლოს, საქ. სსსკ-ის 269-ე მუხლის მიხედვით, ვარაუდებზე განაჩენის დამყარება კატეგორიულად ეკრძალება, - მაშინ სასამართლო ვალდებულია უტყუარად დაადგინოს არა მხოლოდ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა, არამედ ქმედების მართლწინააღმდეგობა და სუბიექტის ბრალი, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი.

მეთოდი, რომლითაც მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს, არის რედუქცია, ესე იგი უკუდასკვნა ქმე-

დების მართლწინააღმდეგობაზე და სუბიექტის ბრალზე, რომლებიც წინ უსწრებენ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელებას. მოკლედ რომ ვთქვათ, სასამართლოს ბრალის ფორმა ბრალზე დაჰყავს, ხოლო, ბრალი სხვა არაფერია, თუ არა მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.

## RESUME

In the report the following thesis is proved, that the term “indifferent” is divided with regard to the misdemeanor forms and is the sign of irresponsibility of a person before the state. In particular, in case of direct intent person foresees inevitability of an unlawful consequence, however he/she does not want it, but by uncertain motivations he/she accepts it or indifferently treats the outcome. The concept of indifference is leading in the notion of the eventual intention, and this indifference is expressed by the negligence as well (official indifference – Criminal Code of Georgia (CCG) Article 342) and specifically also – by complacency.

Taking into consideration that the forms of misdemeanor are set by the Investigation making prospective conclusion regarding guilt (see first paragraph of Article 169), and according to the CCG Article 269, the Court unconditionally is not allowed to base the decision on assumptions – then the Court is obliged to trustworthily ascertain not only the legal composition of the conduct, but also the unlawfulness of the act and the guilt of a person, as a subjective reason for an unlawful act.

The method used by the Court in this case is reduction, i.e. retro conclusion regarding the unlawfulness of the act and the guilt of a person, which precede the execution of the legislative composition of the conduct. In a word, the Court devolves a form of misdemeanor to guilt, and guilt is nothing more than an irresponsible approach towards the obligation of an illegal act.

## 4. პატრიკ ტერი

### PATRICK TERRY

კენტის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი (ინგლისი)  
ბადემ ვურთემ ბერგის უნივერსიტეტის პროფესორი  
(გერმანია)

*Doctor of Law, University of Kent (England)*  
*Professor at University of Baden-Württemberg (Germany)*

### სასამართლოს დამოუკიდებლობა

#### Judicial Independence

#### რეზიუმე

წინამდებარე პრეზენტაცია მოკლედ ასახავს, თუ რა გზებით სცადა გერმანიამ სასამართლო დამოუკიდებლობის დაცვა. გერმანიის ძირითადი კანონის (კონსტიტუცია) 97-ე მუხლი განსაკუთრებულად მიუთითებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე და უზრუნველყოფს მას თუმცა, არ ითვალისწინებს მოსამართლისათვის ინდივიდუალური უფლების მინიჭებას. სასამართლო დამოუკიდებლობა განხილულია, როგორც ძირითადი კონსტიტუციური უფლება, რომელიც განაპირობებს კანონის უზენაესობის მიღწევას.

გერმანიაში, სასამართლო დამოუკიდებლობა მოიცავს მოსამართლის არა მხოლოდ პროფესიულ, არამედ პერსონალურ დამოუკიდებლობასაც, ვინაიდან, ეს უკანასკნელი, პირველის შეუცვლელ წინაპირობას წარმოადგენს. ამასთან, დამოუკიდებლობის ორივე კონცეფცია მკაფიოდაა განსაზღვრული გერმანიის კონსტიტუციით.

გერმანიაში ზემოაღნიშნული კონცეფციების ინტერპრეტაციის გზების განმარტებას, მოყვება იმის წარმოჩენა, თუ რა ჩარჩოებში ექცევა მოსამართლეთა მოქმედების დამოუკიდებლობა. მოცემული შეზღუდვები მოიცავს როგორც სფეროებს, რომელშიც მოსამართლეები ვერ დაეყრდნობიან დამოუკიდებლობის

კონსტიტუციურ გარანტიებს, ასევე, კონკრეტულ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხს, მათ მიერ პროფესიული გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.

ბოლოს, განხილულ იქნება რიგი კრიტიკული მოსაზრებებისა, რაც გამოიხატა გერმანული სისტემის მიმართ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღმოჩენილ გამოსავალთან მიმართებით.

## **RESUME**

The presentation will briefly outline the way Germany has attempted to safeguard judicial independence. Article 97 of Germany's Basic Law, or Constitution, specifically refers to and guarantees judges' independence without, however, granting judges an individual right. Rather, judicial independence is seen as a basic constitutional principle, which ensures the realisation of the rule of law.

In Germany, judicial independence does not only encompass a judge's professional, but also his/her personal independence, because the latter is seen as an indispensable prerequisite of the former. Therefore, both concepts of independence are explicitly referred to in the German constitution.

Following an explanation of how these concepts are interpreted in Germany, the limits nevertheless imposed on judges' freedom of conduct will be outlined. These limits range from areas of their work in which judges cannot rely on the constitutional guarantee of independence to consequences for individual judges in cases of professional misconduct.

Lastly, some of the criticism levelled at the German system will be discussed, with reference to solutions found in other EU member states.

## 5. ჯემალ გახოკიძე

### JEMAL GAKHOKIDZE

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. პროფესორი,  
სენატის სპიკერი

*Doctor of Political and Legal Science.*

*Georgian Technical University. Professor, Speaker of the Senate*

### სამართლიანი მართლმსაჯულებისათვის

#### legal in justice

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია დღეისათვის გამოძიებაში არსებული ორგანიზაციული და პროცესუალური ხასიათის პრობლემები და მათ გადაწყვეტასთან დაკავშირებით ჩვენი კონკრეტული წინადადებები, კერძოდ: შევეცადეთ წარმოგვეჩინა კრიმინალისტიკის როლი დანაშაულის გახსნისა და გამოძიების საქმეში და მისი უპირატესობა ფარულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებთან შედარებით.

განვიხილეთ პრობლემები მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე გამოძიების და გამომძიებლის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, გამოვთქვით მოსაზრებები გამოძიების ინსტიტუტის აღდგენასთან დაკავშირებით.

გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება ხელისუფლების გადწყვეტილებასთან დაკავშირებით სამართლიანობის აღდგენის თაობაზე. გამოვთქვით კონკრეტული მოსაზრებები საპროცესო შეთანხმებასთან და უკანონო განაჩენებთან დაკავშირებით.

#### RESUME

The article discusses current problems of organizational and procedural nature existing in the investigation stage and our concrete pro-

posals for their resolution, in particular: we tried to show the role of criminology in opening and investigation of a crime and its advantages in comparison with the covert operational - investigative activities.

On the grounds of current Criminal Procedure Law, we discussed the problems in connection with the investigation and condition of investigator's rights, expressed opinions regarding the restoration of the investigation institute.

We expressed our attitude towards the decision of government regarding the restoration of justice. We expressed our actual opinions regarding the plea bargaining agreement and the illegal judgments.

## **6. ბიძინა სავანელი**

**BIDZINA SAVANELI**

*ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მკვლევარი-პროფესორი (თბილისი, საქართველო), სოციალურ  
მეცნიერებათა და საგანმანათლებლო კვლევათა ხმელთაშუა  
ზღვის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი და სოციალურ  
მეცნიერებათა ხმელთაშუა ზღვის ჟურნალის რედაქტორი  
(რომი, იტალია), სამართლის დოქტორი*

*Dr. Ph. Dr., Professor-Researcher at the Tbilisi State University  
(Tbilisi, Georgia), Member of International Scientific Council of  
Mediterranean Center of Social and Educational Research, Editor in  
Chief and Scientific Coordinator of Mediterranean Journal of Social  
Sciences (Rome, Italy)*

**მართლმსაჯულების პრობლემები საქართველოში  
ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებაში,  
მათი მიზეზები და აღმოფხვრის გზა**

**Problems of Justice in Georgia in Connection with Constitutional  
Rights, their Causes and Ways of Eliminating**

## რეზიუმე

1. უმეტეს განვითარებად ქვეყნებში მართლმსაჯულების პრობლემა ტრადიციულად სასამართლოების მიერ შესაბამისი სახელმწიფოს ძირითადი კანონის, როგორც უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის, უგულველყოფაში ვლინდება. მოკლედ, საუბარია სასამართლოების მიერ კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის დარღვევაზე.

2. საქართველოში ადამიანის უფლებებთან მიმართებაში საკითხი ეხება საქართველოს სასამართლოების მიერ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის, 5, 6, 7 და 39 მუხლების დარღვევას. სისხლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღებამდე სასამართლოები წინასწარ არ ამოწმებენ და არ მსჯელობენ: ეწინააღმდეგება თუ არა გამოყენებული კანონი და შესაბამისად გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულას და ზემოაღნიშნულ მუხლებს.

3. ყველაზე სავალალო ისაა, რომ გადაწყვეტილებათა მიღებამდე საკონსტიტუციო სასამართლოც კი წინასწარ არ ამოწმებს და არ მსჯელობს: ეწინააღმდეგება თუ არა კონსტიტუციის გამოყენებული ნორმა და შესაბამისად გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს, რომლის ძალით: „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“ საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას თვალს თუ გადავავლებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს ფაქტიურად მოქმედება შეუჩერა და ის სასამართლო პრეცედენტით ჩაანაცვლა, რითაც ხელყო საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი, რომლის ძალით: „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს.“

4. სტატიაში განხილულია საქართველოში მართლმსაჯუ-

ლების პრობლემების მიზეზები და შეთავაზებულია მათი და-  
ძლევის გზა.

## **RESUME**

1. In most developing countries a problem of justice has been traditionally connected with disregard by the courts of the principal law of the applicable state, as a normative act of highest legal importance. In short, we are talking about the violation of the principle of supremacy of the constitution by courts.

2. Concerning Human Rights in Georgia, the problem relates to the violations of preamble, articles 5, 6, 7 and 39 of the Constitution by courts. Prior to delivering a decision on criminal, administrative and civil cases courts do not check whether the applicable law and consequently decision are compliant with the preamble and articles of the constitution.

3. The most appalling thing is that before delivering a decision even the Constitutional Court does not check in advance and does not discuss whether applicable legal norm and hence a decision on a case is compatible with the article 39 of the Constitution, by which: "The Constitution of Georgia shall not deny other universally recognized rights, freedoms, and guarantees of an individual and a citizen that are not expressly referred to herein but derive inherently from the principles of the Constitution." By the way, related to the human rights the principles of the Constitution enshrined in 5, 6, 7 articles of the Constitution). If we look through the judicial practice since acknowledgment of the constitution till nowadays, we may conclude that the Constitutional Court practically has stopped the applicability of the article 39 of the constitution and has replaced it with court precedent, and thus infringed the article 84 of the Constitution, by which: "A judge shall be independent in his/her activity and shall comply only with the Constitution and Law."

4. The author discusses the causes for the problems of justice in Georgia and offers a path to overcome them.

## **7. ჰანს იურგენ ზახორკა** **HANS-JÜRGEN ZAHORKA**

*სამართლებრივი კონსულტანტი (გერმანია), ევროპარლამენტის  
ყოფილი წევრი, სახელმწიფო მრჩეველი;  
გენერალური რედაქტორი, ევროკავშირის საგარეო  
საქმეთა ჟურნალი ([www.eufaj.eu](http://www.eufaj.eu))  
Assessor jur. (Germany), former Member of European Parliament.  
Government Advisor; Chief Editor, European Union Foreign  
Affairs Journal ([www.eufaj.eu](http://www.eufaj.eu))*

**ევროპის ფუნდამენტური სამართლებრივი სტანდარტები –  
საქართველოს იურისტებისთვის არსებული გამოწვევა  
ევროკავშირის გადასახედიდან**

**European Fundamental Legal Standards - a Challenge for Georgian  
Lawyers from the View of the European Union**

### **რეზიუმე**

ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულების (ლისაბონის ხელშეკრულების) მე-2 მუხლი საუბრობს ევროკავშირის ღირებულებებზე („ევროპული ღირებულებები“), რომელთაგან უპირველესია ადამიანის ღირსების პატივისცემა, შემდგომ კი თავისუფლება, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა დაცვა მათ შორის უმცირესობების უფლებების. ეს ღირებულებები მე-2 მუხლის თანახმად მიბმულია პლურალიზმზე, არა-დისკრიმინაციაზე, ტოლერანტობაზე, მართლმსაჯულებაზე თითოეული შემთხვევასთან მიმართებით, სოლიდარობაზე და ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე. ეს არის ძალიან ზოგადი მაგრამ ამავე დროს ნათელი დებულება რომელიც უთანაბრდება ნებისმიერ ეროვნულ კონსტიტუციას. ევროკავშირის უდიდესი ნაწილის რომელმაც შეადგინა 508 მილიონი მოქალაქე და მედიის თავისუფლების სახით ჩვენ რა თქმა უნდა გვაქვს მუდმივი გაშუქება ყველა წევრი სახელმწიფოს

მდგომარეობის მეშვეობით ყველა შესაძლო მედიის მიერ, და ეს უზრუნველყოფს ევროკავშირის გამჭვირვალობას. ეს ქმნის ღია საზოგადოებას, პოლიტიკური ფილოსოფიის საუკეთესო ქრილ-ში. ამიტომ ეს არის ასევე სრულიად ევროკავშირის ინტერესებში როგორ ფუნქციონირებს იურისდიქცია და კანონის უზენაესობა საქართველოში, და პირიქით. ეს არის საქართველოს იურისტებისთვის დიდი გამოწვევა, მაგრამ აგრეთვე საქართველოს მედიისთვის.

ლექციაში ასევე აღწერილია ვენაში დაფუძნებული ძირითად უფლებათა სააგენტო, მისი საინტერესო ანგარიშები, კავშირის მოქალაქეების ინსტრუმენტი ევროკავშირში რომელიც განხილულ უნდა იქნეს ევროპარლამენტში პერიოდულად, და ყველაფრის ზემდგომი ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო (ECJ) ლუქსემბურგში. აქ აქცენტი გაკეთებულია წინასწარ გადაწყვეტილებაზე (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 267-ე მუხლი - TFEU), რომელიც სთავაზობს თოთოეულ მოქალაქეს ევროკავშირში ევროკავშირის უმაღლეს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას. ეს განხორციელდა უამრავ მნიშვნელოვან საქმეში, და ამან დიდად შეუწყო ხელი ევროკავშირის იურისდიქციას გამხდარიყო მეტად სრულყოფილი.

ეს იქნება ეტაპობრივად შემოთავაზებული საქართველოს იურისტებისთვის ასოცირების ხელშეკრულების მიერ (Association Treaty/DCFTA) სადაც ინსტიტუციები და ზოგადი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება დაიწყება მხოლოდ ახლა. მაგრამ საქართველოს იურისტებმა უნდა ახლოდან ადევნონ თვალი შესაძლებლობებს, სამართლებრივ არეალებს და ასოცირების ხელშეკრულების ფუნქციებს, რომელბიც მათ შესთავაზებენ დიდი ოდენობით სამუშაოს და ასპარეზს განვითარებისთვის. გარდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის არსებული გამოწვევებისა, ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში მართლმსაჯულების ძირითადი უფლებების დადგენისას, და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გამოწვევებისა, ევროპის საბჭოს ჩარჩოში, სტრასბურგში არსებობს სერიოზული და ახალი არეა-

ლი საქართველოს იურისტებისთვის - ევროკავშირის სამართლის არეალი. მაშინაც კი როცა საქართველო ჯერ არ არის ევროკავშირის წევრი, იურისდიქცია შეიძლება და უნდა იქნეს გაგებული როგორც ეს განმარტეს ევროკავშირის სასამართლოებმა, და არ იქნება ადვილი ამისგან გადახვევა.

## **8. შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი**

**SHALVA KURDADZE, NINO KHUNASHVILI**

**დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანასა და  
გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები**

**default judgement and problems connected to it's appeal.**

**The results of the research presented**

### **რეზიუმე**

კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები:

დაუშვებელია დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანა იმ საფუძვლით, რომ სარჩელის წინააღმდეგ არ არის წარდგენილი შესაგებელი, თუკი შესაგებლის წარდგენის ვადა განსაზღვრა სასამართლოს კანცელარიის მოხელემ;

დაუშვებელია დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანა სააპელაციო სასამართლოში იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ არ არის წარდგენილი შესაგებელი;

დაუსრულებელი გადაწყვეტილება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხარის წინააღმდეგ, როგორც სანქცია. შესაბამისად, თუკი მხარის წინააღმდეგ კანონიერად გამოვა დაუსრულებელი გადაწყვეტილება, ასეთ მხარეს არ უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯის გადახდა;

თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს დაუსრულებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარს და ძალაში დატოვებს დაუსრულებელ გადაწყვეტილებას, ამით უკმაყოფილო მხარემ შეიძლება

გაასაჩივროს სასამართლო აქტი სააპელაციო სასამართლოში.

ასეთ დროს აპელანტს არ შეიძლება დაეკისროს საბ.ბაჟის გადახდა სარჩელის ფასის 4%-ის ოდენობით.

## **RESUME**

Default judgment is inadmissible if the counterclaim against claim is not submitted and term for submission of counterclaim was determined by the official of the court chancellery.

Default judgment is inadmissible in the Court of Appeal on the grounds that countim is not submitted against the appeal.

Default judgement against a party cannot be used as a sanction.If the default judgment against a party is given legally, such parties would not be held liable for the payment of courts costs.

If the court doesn't satisfy the appeal (complaint) submitted against the default judgment and upholds the default judgment,the dissatisfied party can appeal the court's act in the

Court of Appeals.Under such circumstances the appellant cannot be imposed to pay state tax 4 percent of a claim's value.

## **9. მანანა მოსულიშვილი**

### **MANANA MOSULISHVILI**

*იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი - სამართლის დოქტორი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
პროფესორი, სასწავლო დეპარტამენტის უფროსი  
Candidate of Legal Science-Doctor of Law,  
The Grigol Robakidze University, Professor,  
Head of Department of Education*

## **კონსტიტუციურ პრინციპებთან ზოგიერთი შეუსაბამობა**

### **Some Inconsistencies with Constitutional Principles**

## რეზიუმე

მართლმსაჯულება წარმოადგენს სახელმწიფო საქმიანობის ფორმას, რომელიც საერთო სასამართლოების მიერ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეების — სისხლის სამართლის დანაშაულობათა, სამოქალაქო დავებისა და სხვა სახის საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში მდგომარეობს.

საქართველოში მოქმედი კონსტიტუციის თანახმად მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით ეს უფლებამოსილებანი დაკისრებული აქვს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, რითაც ირღვევა არა მხოლოდ ზემოხსენებული მართლმსაჯულების პრინციპი, არამედ კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 პუნქტიც, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

ავტორი გვთავაზობს რამდენიმე მოსაზრებას ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

## RESUME

Justice is the form of state operation which implies that the General Courts, within their competence, shall discuss and solve the cases - criminal offenses, civil disputes and other cases.

According to the operative Constitution of Georgia justice is administered by General Courts.

According to several Articles of the Criminal Code of Georgia, these authorities are imposed to the Ministry of Corrections and Probation of Georgia, what violates not only the abovementioned principle of judiciary, but also paragraph 5 of the Article 84 of the Constitution which states that the court decision can be cancelled, changed or suspended only by the court in line with the regulation determined by the law.

The author offers several suggestions to eliminate this problem.

## 10. გია ლილუაშვილი

GIA LILUASHVILI

*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი.*

*სამართლის დოქტორი*

*Professor of Georgian American University.*

*Doctor of Law*

### სასამართლო გადაწყვეტილების სოციალური მნიშვნელობა

#### Social Significance of court decision

##### რეზიუმე

სტატია ეხება სამოქალაქო დავაზე სასამართლო გადაწყვეტილების სოციალურ მნიშვნელობას.

ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობა, ძირითად შემთხვევებში, მოდავე მხარეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში გამოიხატება. რასაკვირველია ეს შეხედულება გასაზიარებელია, მაგრამ კონკრეტულ სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას (ისევე როგორც დადგენილების სხვა სახეს) არანაკლები მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვისაც.

გადაწყვეტილების სოციალური მნიშვნელობის მაჩვენებელია სასამართლო პრეცედენტების საჯაროობა (კანონით გათვალისწინებული ცალკეული შემთხვევების გარდა), რომელშიც ძირითადად მოიაზრება სასამართლოს მთავარ სხდომაზე საზოგადოების თავისუფალი დასწრების შესაძლებლობა, პროცესის მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გადაცემა და სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადება.

სტატიაში გაანალიზებულია, არამხოლოდ საჯაროობის თითოეული მაჩვენებლის არსი, ამ საჯაროობის შედეგები და საზოგადოებისათვის მათი მნიშვნელობა, არამედ აგრეთვე მოსამართლეთა მორალური პასუხისმგებლობაც საზოგადოების

წინაშე.

სტატიაში გადწყვეტილების უკეთ ჩამოყალიბებისთვის მხარეებისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე გარკვეული სახის რეკომენდაციებიცაა წამოყენებული.

## **RESUME**

The article is about social importance of court decision on civil matters.

According to a widely accepted view, the importance of the court decision, in most cases, is expressed by protecting the rights and legal interests of parties to a dispute.

This view of course shall be considered, but the court decision (as well as other types of resolution) related to particular civil dispute has no less importance to the public.

There is an indication of social significance when it comes to the publicity of court cases (except the cases prescribed by law), where the main idea is to allow the public freely attend the general court session and acclaim the court decision publicly.

The article summarizes not only the essence of each characteristic of the publicity, but also the results and their values in relation to publicity. Also, the article summarizes the importance of moral responsibility of judges before the society.

Several recommendations on how to establish better decision in the interests of parties and the society are provided in the article.

## 11. როინ მიგრიაული

### ROIN MIGRIAULI

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი.  
საადვოკ. ბიურო „მიგრიაული და პარტნიორები“  
ხელმძღვანელი პარტნიორი  
*Caucasus International University, Associate Professor.*  
*Office of Law “Migriauli and Partners” the main Partner*

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის  
პერიოდში უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებისა და  
ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ სახელმწიფოს მხრიდან  
კომპენსაციის გაცემის შესახებ სპეციალური კანონის შექმნის  
აუცილებლობის შესახებ**

#### რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეხება საქართველოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში განხორციელებული უკანონო ექსპროპრიაციების გამო დაზარალებულ პირთა დარღვეული უფლებების აღდგენის აუცილებლობის საკითხს.

სტატიის პირველ ნაწილში ავტორი ცდილობს მოკლედ აღწეროს ის მდგომარეობა, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში განხორციელებული უკანონო ექსპროპრიაციების ირგვლივ არის შექმნილი. ავტორი აღნიშნავს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში 2003-2012 წლებში უკანონო ექსპროპრიაციები ხორციელდებოდა სახელმწიფოს და მესამე პირების სასარგებლოდ. ყველა ამ შემთხვევაში საკუთრების (ქონების) უკანონო ჩამორთმევა ხდებოდა შესაბამისი მესაკუთრის ნების გარეშე ან მისი ნების წინააღმდეგ.

საქართველოში პოლიტიკური რეჟიმის ცვლილების შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრის თვიდან მოყოლებული, რამდენიმე ათასმა

ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა მიმართა საქართველოს პროკურატურას თავიანთი უკანონოდ ჩამორთმეული საკუთრების (ქონების) უკან დაბრუნების ან ზიანის ანაზღაურების მიზნით გამოძალვის, იძულების და სხვა დანაშაულებების ფაქტის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების განცხადებით. აღნიშნული პირები ირწმუნებიან, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში სისტემატურად ხდებოდა კერძო პირთა საკუთრების შესაბამისი კომპენსაციის გაცემის გარეშე უკანონოდ ჩამორთმევა.

დღესდღეობით, როგორც პროკურატურა, ისევე სასამართლო განიხილავენ ზემოთხსენებულ საქმეებს, თუმცა მოსარჩელების და განმცხადებლების სამართლებრივი უფლებების განხორციელებას წინ დიდი წინაღობები უდგას. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული სისხლისსამართლებრივი საქმეების წარმოება სამართლებრივი თუ ფაქტობრივი გარემოებების გამო შეუძლებელია. ასევე უპერპსექტივო ჩანს საკუთრების უკან დაბრუნების სარჩელები, რადგანაც უმეტეს შემთხვევებში საქმე გვაქვს საკუთრების კეთილსინდისიერ შეძენასთან. ამგვარად, დაინტერესებულ პირთა მდგომარეობა არ იცვლება და 2012 წლის საქართველოს საპარლემენტო არჩევნებში პროკლამირებული „სამართლიანობის აღდგენა“ ჯერაც წარმოადგენს მხოლოდ დაპირებას.

ავტორი ამავე დროს აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულება შექმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს უკანონოდ ჩამორთმეული საკუთრების (ქონების) ან უკან დაბრუნებას ან სამართლიანი კომპენსაციის გაცემას.

სტატიის მეორე ნაწილში ავტორი მიმოიხილავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამის კანონმდებლობას, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ უკანონო ექსპროპრიაციებთან. გახილულია შესაბამისი გერმანული კანონმდებლობის შექმნის მიზეზები, ისტორიული ფონი და აღნიშნული კანონმდებლობის კონკრეტული არსებითი დებულებ-

ბები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკუთრების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების და კომპენსაციის მიღების უფლების კანონისმიერ წინაპირობებს. ავტორი აღნიშნავს, რომ გერმანიის მოდელი წარმოადგენს სახელმძღვანელო მაგალითს ქართველი კანონმდებლისათვის.

სტატიის მესამე ნაწილში ავტორი განიხილავს ქართველი კანონმდებლის მიერ მისაღები კანონის შესაძლო შინაარსსა და სტრუქტურას. ამ ნაწილში ავტორს მოჰყავს დაინტერესებული პირის (რეპრესიის მსხვერპლის) შესაბამისი მოთხოვნის უფლების არსებობის წინაპირობები.

სტატიის ბოლოს ავტორი განმეორებით ხაზს უსვამს საქართველოში დღესდღეობით შექმნილი მდგომარეობის არაკონსტიტუციურობას და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემქნის აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფდა დაინტერესებულ პირთა (რეპრესიის მსხვერპლთა) დარღვეული კონსტიტუციური უფლებების აღდგენას.

## RESUME

The present article deals with the question of the reparation for the illegal expropriations during the political regime of the „United National Movement“ in Georgia in the years 2003-2012 .

In the first part of the article the author briefly and concisely tries to show the actual situation in Georgia regarding the issue of illegal expropriations by the state authorities. One stresses that during the political regime of the „United National Movement“ in the years 2003-2012 the property was taken away illegally from private persons in favor of the state or third parties.

In all these cases the expropriations took place without or against the will of the respective owner and without suitable legal basis.

From October 2012 - after change of the political regime in Georgia - thousands of natural and legal entities have applied to public prosecutors and the court with the desire of reassignment of the illegally expropriated property or to launch the criminal investigations because

of extortion, constraint and other offences, with intention to get the compensation (damages). The people concerned state that the political regime of the „United National Movement“ took away the property of private individuals illegally and without adequate compensation.

Nowadays the prosecutor's office as well as the courts deals with these legal cases, but there are some unavoidable problems for the plaintiffs or complainants concerning the legal penetration. It is about the fact that the criminal pursuits of respective criminal offences for juridical or actual reasons are impossible. Also the replevins of the plaintiffs are hopeless, because in most cases a credulous acquisition is given. In a whole, there have been made no essential changes of the situation of the affected persons as before the parliamentary elections in 2012 promised. The “justice has not been restored yet”.

From the said follows, that there is a need for the protection of the rights of affected persons (repression victims) – it cannot be further tolerated that the affected persons cannot enforce their rights. Besides, the author concludes from the article 21 of the Constitution of Georgia (proprietary guarantee) that there is a constitutional obligation of the state to create a legal base, which will allow either the reassignment of the property of affected persons or their fair and adequate compensation.

In the second part of the article the author discusses the respective legislation of the Federal Republic of Germany about the property issues concerning illegal expropriations by the state. The author discusses the historical background for the amendment of the respective German legislation. Special attention is given to the concrete conditions of the proprietary reassignment claim and compensation claim. According to the author, the German model should be valid as an example for the Georgian legislator.

Eventually, in the third part of the article the author discusses the possible contents and the possible structure of the law to be adopted by the Georgian legislator. In this part the author give the prerequisites for the right of a stakeholder (victim of a repression) to arise.

At the end of the article the author stresses again the actual invidious and unconstitutional legal situation in Georgia and the necessity of the creation of a suitable legislation, which should allow the reparation of respective kind – reassignment or compensation - to the affected person (repression victims).

## **12. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი**

**KETEVAN MCHEDLISHVILI-HEDRIKHI**

*სამართლის დოქტორი (ფრეინბურგი, გერმანია)*  
*Doctor of Law (Freiburg, Germany)*

### **შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე**

**Comments on the project of georgien juvenile justice**

#### **რეზიუმე**

მოხსენება ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა არასრულწლოვნის ასაკის დადგენის მეთოდები და ელექტრონული მონიტორინგი.

ყურადღებაა გამახვილებული არასრულწლოვნის ასაკის რენდგენის საშუალებით დადგენაზე, რაც არაა სახელდებით გათვალისწინებული აღნიშნულ კოდექსში და ელექტრონული მონიტორინგის უარყოფითი შედეგებზე არასრულწლოვნის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობისათვის, ასევე ელექტრონული მონიტორინგის ტექნიკურ და სამართლებრივ პრობლემებზე. ავტორის ასკვნის, რომ როგორც ერთი, ასევე მეორე ტექნიკური ღონისძიების გამოყენება ახალფეხადმგმულ ქართულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში მიუღებელია.

## RESUME

The report deals with the important issues of the Juvenile Justice Draft Code, such as methods of age determination and electronic monitoring. The focus is set on determining the age with the X-rays, which is not namely foreseen in this Code and negative results of the electronic monitoring on the physical and psychological development of a young offender, as well as technical and legal issues of electronic monitoring. The author concludes that these both technical measures are unacceptable for the newly created Georgian Juvenile Justice Criminal code.

## 13. პაატა კუბლაშვილი

### PAATA KUBLASHVILI

*სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორი, იურისტი*  
*Auditor of State Audit Office, lawyer*

**მაკონტროლებელ ორგანოთა შუამდგომლობის საფუძველზე  
მიმდინარე სამართალწარმოებისას გასათვალისწინებელი  
რეგულაციები**

### რეზიუმე

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე წარმოებული ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული რეგულაციები, არამედ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები გადასახადის გადამხდელისა და მის მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების შესახებ. თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფის ღონისძიება

როგორცაა - პირის (გადასახადის გადამხდელის) საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადება არ უნდა განხორციელდეს საგადასახადო ორგანოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე და მასზე უნდა განხორციელდეს სასამართლო კონტროლი. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვისას ასევე გასათვალისწინებელია სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მეხუთე რიგის კანონით მემკვიდრეები და მათ საკუთრებაში არსებული ქონება, რომელიც არ შეიძლება განხილული იქნას როგორც უშუალოდ გადასახადის გადამხდელის საკუთრებაში არსებული ქონება. ამავე თემასთან მიმართებაში გასათვალისწინებელია სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ლეგატარის მიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) ქონების მიღების ფაქტი, რომელიც სასამართლოს მიერ ვერ იქნება განხილული როგორც უშუალოდ გადასახადის გადამხდელის საკუთრებაში არსებული ქონება.

## RESUME

Thus, in view of the above, it can be said that the request of the tax authority during an administrative judicial procedure must take into account not only administrative regulations of the Administrative Procedure Code, but also the provisions of the Tax Code of the taxpayer and his tax obligations. Considering the specifics of the topic, the mean for ensuring the tax payment such as - a person (the taxpayer) for the property was seized by the tax authority should not be carried out without a court decision, and it should be subject to a judicial review. Seized property of the taxpayer, the tax authority is also considering a motion to be considered by the Civil Code and the fifth row of the legal heirs of their own property, which can not be viewed as the taxpayer-owned property. This issue should be considered in relation to the Civil Code of legataris's possession (use) of the property, which can not be dealt with by the court as the taxpayer-owned property.

## 14. ანა გურიელი

### ANA GURIELI

#### ადვოკატის როლი სამოქალაქო სამართლებრივი დავების მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე

##### რეზიუმე

საკანონმდებლო დონეზე უნდა მოხდეს მედიაციის პროცესის მნიშვნელოვანი საკითხების რეგულირება.

საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს, რომ ყველა ვალდებულება რომელთა დაცვაც ეკისრებათ ადვოკატებს, ვრცელდება მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის დროსაც.

გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც ადვოკატებს ეკისრებათ დავის გადანაცვების სხვა საშუალებების გამოყენებისას, საჭიროა განისაზღვროს ვალდებულებები, რომლებიც დაეკისრებათ კონკრეტულად მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის შემთხვევაში.

ადვოკატმა უნდა შეაფასოს, თუ რამდენად მიზანშეწონილია დავის გადანაცვების აღნიშნული საშუალების გამოყენება. გადანაცვებულების მიღების პროცესში უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული საქმის თითოეული დეტალი.

იმისათვის, რათა პირი გახდეს მედიაციის პროცესში წარმომადგენელი, აუცილებელია მისი პიროვნული უნარები, თვისებები, დამოკიდებულება მედიაციისადმი, იყოს შესაბამისი სტანდარტის.

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით მოხდება ადვოკატის მხრიდან მედიაციის საშუალებით დავის გადანაცვების ინიცირება კლიენტისადმი და ოპონენტისათვის.

მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე ადვოკატმა უნდა მოახდინოს საკუთარი სამოქმედო სტრატეგიის/ტაქტიკის განსაზღვრა. ის საკითხი, თუ კონკრეტულად რა ფორმით ჩამოყალიბდება სტრატეგია, სრულად არის დამოკიდებული კლიენტის რეალურ ინტერესებსა და იმ წინაპირობებზე, რამაც გამოიწვია დავის წარმოშობა.

ადვოკატმა, მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე სრულად უნდა მოამზადოს საქმე.

მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე, საქმის მომზადებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია კლიენტის მომზადება.

ადვოკატმა კლიენტს უნდა განუმარტოს პროცესის მონაწილეების როლი, რათა მათი მიდგომები, ქცევის სტილი, შემდგომში არ აღმოჩნდეს კლიენტის უკმაყოფილების საფუძველი. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული აქტუალობის მქონეა ადვოკატის როლის განმარტება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება, მათ შორის უნდა განისაზღვროს ადვოკატის ვალდებულებები.

## **RESUME**

The important issues regarding the process of mediation must be regulated by the legislation.

It must be stated, that the general ethical obligations of lawyers, must also refer to the lawyers taking part in the process of mediation.

Except the obligations that are general, the special obligations have to be defined, that will be obligatory only in the process of mediation.

The lawyer must assess, if it is a proper case to be solved by mediation. In the process of making the decision, every detail must be considered.

During the choice of the representative his/her personal abilities, personal opinion about mediation should be considered.

The lawyer should choose the proper style of negotiation in the process of offering the parties to use mediation.

Lawyers must define their future tactics and the strategy that will be used in the process. The formation of the strategy must depend on the interests of the client and the basis of the dispute.

Lawyer must prepare the case.

Client also needs preparation.

Lawyer must inform client about the rule of the participants in the process of mediation. The most important is to define the rule of the lawyer.

Considering all these mentioned above, the proper changes have to be made in the legislation of Georgia. The obligations of lawyer during the process of mediation should be defined.

## **15. მამუკა მდინარაძე**

### **MAMUKA MDINARADZE**

*სამართლის დოქტორი  
შპს „მდინარაძე და პარტნიორი ადვოკატები“-ს მმართველი  
პარტნიორი  
ა(ა)იპ „ადვოკატთა ალიანსი“-ს თავმჯდომარე  
Doctor of Law  
Managing partner of “Mdinardze and partner lawyers” LTD  
Chairman of A (N)“Alliance of Advocates”*

**საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული  
ზოგიერთი პრობლემა მართმსაჯულების განხორციელებისას**  
**Some problems in implementation of justice caused  
by Legislative changes**

### **რეზიუმე**

მოცემული ნაშრომი ლოკალურად ეხება დაცვის უფლების უზრუნველყოფის სისტემაში დაცვის მხარის ახალ უფლებას - ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები ჩხრეკა და ამოღება და დაცვის მხარისათვის საგამონაკლისო უფლების ჩამორთმევას - პროცესის მიმდინარეობისას დამატებით ერთი მტკიცებულების წარდგენის შესახებ.

როგორც მიმდინარე სასამართლო პრაქტიკა, ასევე ამ

პრაქტიკიდან გამომდინარე შესაბამისი ლოგიკური ანალიზი საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებისა, იძლევა დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ რეალურად დაცვის მხარის შეძენილი უფლება საგამოძიებო მოქმედებების ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების შესახებ წარმოადგენს ამ საგამოძიებო მოქმედებების ინიცირების უფლებას. ამასთან, ცვლილებებს მოჰყვა სხვა თანმდევი პრობლემებიც:

1) დაცვის მხარე დამოუკიდებლად ველარ ჩაატარებს ვერც ერთ იმ საგამოძიებო მოქმედებას, რომლისთვისაც მოსამართლის განჩინებაა საჭირო. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში საკითხი მხოლოდ ჩხრეკას და ამოღებას არ ეხება. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრალდებულს და მის ადვოკატს ჩამოერთვათ უფლება ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედება მოსამართლის განჩინების საფუძველზე და ეს უფლება გადაეცა გამომძიებელს. ამ შემთხვევაში დაცვის მხარის როლი მხოლოდ საგამოძიებო მოქმედების ინიცირებაში გამოიხატება.

2) მართალია ასეთ საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ აწარმოებს გამოძიებას ამ საქმეზე, თუმცა ლოგიკას მოკლებულია მტკიცება, რომ გამომძიებელი, რომელიც იმავე უწყების თანამშრომელია, საკუთარი კოლეგის საწინააღმდეგოდ იმოქმედებს.

3) ამ ფონზე დაცვის მხარისათვის საგამონაკლისო უფლების ჩამორთმევა არღვევს მხარეთა შორის ბალანსს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ბრალდების მხარე დაცვის მხარისაგან განსხვავებით კვლავ აღჭურვილია გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებით, რომ არაფერი ვთქვათ სისტემაზე, ინფორმაციასთან წვდომაზე, სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობების ხარისხზე და ა.შ.

საბოლოო ჯამში აღნიშნული დისბალანსი მნიშვნელოვნად აფერხებს სწორი, ობიექტური, სამართლიანი და დინამიკაში განვითარებადი მართლმსაჯულების განხორციელებას.

## RESUME

Current paper deals with a new right of the defense side in the system of defense right assurance - to conduct investigative procedures, search and seizure and with the deprivation of the exceptional right to the defense side – to submit once additional evidence during the process.

Current legislative practice, as well as relevant logic analysis of changes in Procedural Law proceeding from this practice, gives basis to conclude, that actually the right given to the defense side to conduct investigation actions search and seizure represents the right to initiate these actions. Moreover, changes were followed by other accompanying problems:

1) Defense side will not be able to independently conduct any investigation works, which need to be decided by judge, in this case it is not related only to the search and seizure. It implies that the defendant and his lawyer are deprived of the right to conduct investigation works on the basis of judge's decision and this right was given to the investigator. In this case, the role of the defense side is not reflected only in the initiation of investigation works.

2) Despite the fact, that such investigation works are conducted by the investigator, who does not investigate the given case though it is illogical to assert that the investigator, being the employee of the same body, will act against his own colleague.

3) Against this background, deprivation of the exceptional right to the defense side breaks the balance between the parties, especially when the prosecution still bears the right to conduct investigation works in case of urgent necessity unlike the defense side, not to say anything about the system, access to the information, the quality of ability to conduct other investigation works etc.

Ultimately, the said imbalance essentially hampers the implementation of the right, objective, fair and dynamically developed justice.

## 16. მიხეილ გაბუნია MIKHEIL GABUNIA

სამართლის დოქტორი, პროფესორი  
*Doctor of Law, Professor*

### კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართლიანობასა და სამართალზე

#### Criminological views on legal and justice

##### რეზიუმე

კრიმინოლოგიური აზროვნების მნიშვნელოვან კატეგორიას სამართალსა და სამართლიანობაზე არსებული მეცნიერული შეხედულებანი წარმოადგენს. ამ ცნებათა სახელდების პროცესზე დიდი გავლენა უნდა მოახდინოს კრიმინოლოგიის მეცნიერებამ. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით სამართალი და სამართლიანობა აზრობრივად ერთ დატვირთვას ატარებს, ხოლო სამართლიანობას უნდა ემყარებოდეს სამართალი, ვინაიდან წარსულში, სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა იგი. საკითხის სირთულეს განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ამ ცნებათა შესახებ მრავალი შეხედულება არსებობს მეცნიერების სხვადასხვა დარგებში - თეოლოგიაში, იურისპრუდენციაში, ფილოსოფიაში, სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში. კრიმინოლოგიაში აღიარებული შეხედულება, რომ ყველა ადამიანის ბუნება, ყოველგვარი გამოწვევის გარეშე, მიდრეკილია დანაშაულის ჩასადენად, არ აბრკოლებს იმ დებულების ჭეშმარიტებას, რომ სამართლიანობას უნდა ეფუძვნებოდეს სამართალი. ის რომ ადამიანის განუყოფელი თვისებაა იყოს დამნაშავე - ამიტომ არის დადგენილი სამართლიანობის წესები და პრინციპები, ხოლო ამათგან გამომდინარე სამართალი.

ყველა დროსა და ეპოქაში სამართალზე გამოთმულ შეხედულებათა კვლევა სტატიაში შეუძლებელია, ამიტომ შევჩერდებ-

ით სამართლის განსაზღვრების, ჩვენი მოსაზრებით, საუკეთესო ცნებაზე, რომლის თანახმად სამართალი ეს არის „საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირების გონივრული და ზნეობრივი საშუალება“.

საქართველოში სამართლიანობისა და სამართლის ნორმების დაახლოებისათვის საჭიროა ახალი, კრიმინოლოგიურ ექსპერტიზაზე დაფუძნებული იურიდიული შემოქმედება, რომელმაც უნდა შეცვალოს არსებული სამართალი სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, შესაბამისად, უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიგვაჩნია საქართველოში საქართველოს კრიმინოლოგიური ექსპერტიზის სახელმწიფო ცენტრის ჩამოყალიბება, რომლის ძირითადი ფუნქცია კანონპროექტთა კრიმინოლოგიური ექსპერტიზების ჩატარება იქნება. ყოველივე ზემოაღნიშნული მიგვიყვანს მაღალ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მიზნამდე - „საქართველო დანაშაულის გარეშე“!

## RESUME

Scientific viewpoint, which is based on law and justice, constitutes a significant category of criminological thinking. The science of criminology should heavily influence the process of formation of these definitions. From a criminological point of view, law and justice by implication have the same meaning, while justice should serve as a basis for law, since in the past it was used specifically under such meaning. The complexity of the matter also derives from the fact that in various disciplines of science - theology, jurisprudence, philosophy, sociology and psychology - numerous opinions exist with regard to these definitions. A standpoint recognized in criminology that every human by nature, without exception, is inclined to a commission of crime, does not prevent the provision stating that law should be based on justice from being true, due to the fact that it is an inseparable trait of a human to be a criminal. Thus, rules and principles of justice are established, followed by the establishment of law.

It is impossible to examine all opinions regarding laws that were

made in all times and era in the article, thus, we shall discuss, in our opinion, the best definition of law in accordance to which law is “a reasonable and moral mean for regulating public life”. In Georgia, to bring norms of justice and law closer, the performance of new legal activities on the basis of criminological expertise is necessary, which should change the existing law on the basis of the principle of justice. The main function of the latest will be conduction of criminological expertise of draft laws. All of the above-mentioned shall allow to approach a superior state and public goal – “Georgia without crime”!

## **17. ირმა მერეაშვილი**

**IRMA MEREBASHVILI**

*სამართალმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი*  
*Doctor of Law, Professor*

**მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ  
კანონისადმი დამორჩილების პრინციპი სამოქალაქო  
საპროცესო სამართალში**

**Principle of Judges' Independence and their Abidance  
Purely to Law in Civil Procedural Law**

### **რეზიუმე**

ჩვენს ქვეყანაში დღეს მეტად აქტუალურია მოსამართლის, ზოგადად სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი, რომელზეც საზოგადოება მტკივნეულად რეაგირებს და ელის სერიოზულ ცვლილებებს. მიუხედავად გარკვეული მცდელობებისა, სერიოზული და შესამჩნევი შედეგები ჯერ არ ჩანს. ვფიქრობ, ჩვენმა სახელმწიფომ აქტიური ნაბიჯები უნდა გადადგას ამ მიმართულებით და მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებებით არ უნდა დაკმაყოფილდეს. როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

1. მოსამართლეთა მიუკერძოებლობისა და სხვადასხვა გავლენებისაგან განთავისუფლების მოტივით, პროფესიულ გამოცდებთან ერთად, მოსამართლეობის კანდიდატები უნდა გადიოდნენ სპეციალურად მათთვის შექმნილ ფსიქოლოგიურ ტესტირებას, რაც ნათელს გახდის, რამდენად შეუძლია, ამა თუ იმ კანდიდატს, იყოს ღირსეული მოსამართლე და რამდენად შესაძლებელია, იგი გახდეს სხვისი სადაოდ გამხდარი უფლების დაცვის გარანტი;

2. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ აზრს და მოსამართლეთა დანიშვნის მოქმედი სისტემის პარალელურად, შემოღებულ იქნება, თუნდაც მხოლოდ მაგისტრატის მოსამართლის თანამდებობის არჩევის გზით დაკავების პრინციპი.

3. ალბათ, დროა, ჩვენმა საზოგადოებამ და სახელმწიფომ სერიოზული ნაბიჯები გადადგან იმისათვის, რომ მოხდეს მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ განწესების შემოღება. ამ ნაბიჯების გადადგმა მიზანშეწონილია მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდება რეფორმა სასამართლო წყობილებაში, შეიცვლება სასამართლო ორგანოების სტრუქტურა (თუნდაც მხოლოდ პირველი, ან პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოებთან მიმართებით) და შესაბამისად, ამ საფუძველზე შესაძლებელი იქნება ამ ინსტანციების მოსამართლეთა შეცვლა ახალი კორპუსით.

მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ რაც შეიძლება, სწაფად უნდა უზრუნველყოს სასამართლო სისტემა მოსამართლეთა ახალი კორპუსით, რათა ჩვენს ქვეყანაში მიღწეულ იქნას მართლმსაჯულების სწორად და ღირსეულად განხორციელება. ქართული მოქმედი საკანონმდებლო ბაზა სრულად იძლევა ასეთი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას, მითუმეტეს, რომ ეს გზა შესაძლებელს გახდის, საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში კვლავ არსებობდეს სასამართლო რგოლები, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსახლეობისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.

## RESUME

The degree of impartiality of judges and justice overall in our country nowadays is a burning issue for the society, reacting quite sensitively towards the problem and expecting significant changes in this field. Despite certain attempts, no serious results seem to be achieved yet. We suppose that our government should take rather more appropriate actions in this direction than being content only with cosmetic alterations.

Reasoning both from the prospective of public and state interests, I consider the following:

1. For the reason of judges' liberation from different influencing factors and their impartiality, candidates for the post should take psychological tests specially designed for them together with their proficiency exams. This will make clear the candidate's capacity to become a decent judge and can define whether this person will be able to protect somebody with disputable rights or not.

2. Taking into consideration the generally accepted opinion in Georgia and concurrently with the present principle of appointing judges it will be beneficial to introduce a method of appointing, at least only, the Magistrate judge through elections;

3. Probably it is the right time for our society and state to take serious steps towards adopting a system of appointing judges for lifetime tenure. These actions will be reasonable to be taken only after reforms in the judicial system, changes in the structure of judicial bodies (at least in regard to only original jurisdiction court or both general and appellate courts) and consequently, judges of these courts could be replaced by a new body of judges.

In my opinion, the state should provide judicial system with a new body of judges as soon as possible for the justice in our country to start adequate and decent functioning. Georgian current legislative database fully enables fulfillment of the task, especially since these reforms will make possible for the judicial block to operate again in every administrative unit that will, for its turn, provide accessibility of justice for the population.

## 18. დოდო ჯულუხაძე

### DODO JULUKHADZE

#### სამოქალაქო შეთანხმება სისხლის სამართალში

#### Civil agreement in criminal law

#### რეზიუმე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 671-ე მუხლი-სამოქალაქო შეთანხმება- სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი ინსტიტუტია, რომელიც შესაძლებელს ხდის პირობით მსჯავრდებულს გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლამდე გაუქმდეს პირობითი მსჯავრი და მოეხსნას ნასამართლობა. აღნიშნული ინსტიტუტი დამნაშავეს რესოციალიზაციის თვალსაზრისით მასტიმულირებელ ნორმას წარმოადგენს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმავდროულად აკნინებს სამოსამართლეო უფლებამოსილებას და ამკვიდრებს პროკურორის ჰეგემონიას მატერიალურ სისხლის სამართალში. სამოქალაქო შეთანხმების კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პირობითი მსჯავრის გაუქმებასთან ერთად ნასამართლობის მოხსნის უფლებამოსილება გადაცემული აქვს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიას. აღნიშნული კომისიისათვის ნასამართლობის მოხსნის უფლებამოსილების გადაცემა ეწინააღმდეგება სსკ-ის 79-ე მუხლს, რომლის თანახმადაც ნასამართლობის მოხსნა სასამართლოს კომპეტენციაა. კითხვებს ბადებს სამოქალაქო შეთანხმების საფუძველიც - პროკურორს შეუძლია, პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევის გათვალისწინებით, მასთან გააფორმოს სამოქალაქო შეთანხმება, თუ მას აქვს სურვილი და შესაძლებლობა, გარკვეულ სფეროში საკუთარი ცოდნა და გამოცდილება სხვებს გაუზიაროს. რამ-

დენად რეალურია დამსაქმებელს გაუჩნდეს მსჯავრდებულთან საქმიანი ურთიერთობის სურვილი? „შესაძლებლობის“ მოთხოვნა არ უნდა იქცეს რაიმე სახის სიყალბის ჩასადენ ცდუნებად.

## RESUME

Paragraph 671 of the Georgian Criminal Code – Civil Agreement is a new institution in the Legislation of Criminal Law, which gives the opportunity to conditional condemned to cancel the conditional sentence before the expiration of the half term and to be released from conviction. The above-mentioned institution is a stimulating norm from the point of view of re-socialization of criminal, but it should be mentioned, that simultaneously it is weakening the authorization of judges and is inculcating the hegemony of public prosecutor in material criminal Law. The peculiarity of civil agreement is, that together with cancelling the conditional sentence authorization for releasing the conviction is delegated to the Commission of the issues for cancelling the conditional sentence of the National Agency of Execution of Non-Prison Punishment and Probation. Delegation of authorization for releasing the conviction to the above mentioned commission is contradicting to Paragraph 79 of criminal Law, according to which, releasing the conviction is a competence of the court. The ground of civil agreement is rising some questions as well – a Public Prosecutor is able, contemplating the behavior of conditional condemned, to conclude the civil agreement with him/her if he/she is having the will and opportunity to share the own knowledge and experience to the others in certain field. How real is it for the employer to have a will for making the business relationship with condemned? The requirement of this “opportunity” shall not turn into the temptation of committing any kind of falseness.

## 19. ლეილა არხოშაშვილი

LEILA ARKHOSHASHVILI

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლის დოქტორანტი  
*The Grigol Robakidze University  
Doctorant of the School of Law*

### მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები და მათი დაძლევის გზები

#### Current Problems of Justice and the Ways of their Solution

##### რეზიუმე

სტატიაში „მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები და მათი დაძლევის გზები“ განხილულია ის სიძნელებები, რომელიც აფერხებს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

სასამართლოების გაერთიანებით შეზღუდულია სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. ჩვენი რეკომენდაციაა გაერთიანებული სასამართლოები დაუბრუნდნენ 2004 წლამდე არსებულ მდგომარეობას.

აუცილებელია მოსამართლეთა რაოდენობის ზრდა.

უნდა ხდებოდეს მოსამართლეების არჩევა მოსახლეობის მიერ.

სასამართლოში არ უნდა ხდებოდეს სარჩელის ე.წ. „დაკონვერტება“.

პრობლემატურია, ხარვეზის შემთხვევაში, სარჩელის (განცხადების) მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გამოტანა. უკეთესი იყო როდესაც სამოქალაქო საქმეზე მოსამართლეს გამოჰქონდა განჩინება ხარვეზის შესახებ.

პრობლემას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის დანაწესი, რომელიც სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას თავისი შეხედულებისამებრ სასამართლოს შენობაში „თვალსაჩინო ადგილზე“ გამოაკრას

განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. უკეთესი იქნება თუ შევა ცვლილება საპრო-ცესო კოდექსში, სადაც მითითებული იქნება მხოლოდ ერთი გაზეთი, რომელიც იქნება სპეცილური, საჯარო ინფორმაციებისათვის.

მიგვაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ინსტიტუტი.

რაც შეეხება სისხლის სამართალში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობას, მიმაჩნია დიდ შეცდომად.

## RESUME

In the article “Actual judicial problems and their solutions” the difficulties that hinder swift judicial administration are discussed.

A merger of courts limits the right to apply to the court. Our recommendation is that the united courts should be returned to the position existed before 2004.

It is necessary to increase the number of judges. A judge must not be appointed; the people should elect a judge.

The so-called “enveloping” of a claim should not occur in the court.

It is problematic in case of shortcoming to make a decree about the refusal to admit the claim (application). It would be better if the judge makes a decree about a shortcoming.

The stipulation of the 78 Article of the Civil Code of Georgia represents a problem. This stipulation gives to the court in its sole discretion the possibility to post a decree about the notice public dissemination in “a prominent place” of the court building. It would be better, if the changes were made to the Procedure Code, where one newspaper will be indicated which will be a special one for public information.

We consider the Institution of a default decision in case of the non-submission of the objection should be abolished.

We reckon the Jury institution in the criminal law is an erroneous one.

## **20. მარიამ ცაცანაშვილი**

### **MARIAM TSATSANASHVILI**

*პროფესორი, სამართლის დოქტორი*  
*Professor, Doctor of Laws*

#### **მონაცემთა ბაზების სამართლებრივი დაცვის პრობლემები საქართველოში**

#### **The legal issues of data protection in Georgia**

#### **რეზიუმე**

ნაშრომი ეხება მონაცემთა ბაზების სამართლებრივი დაცვის სისტემის სრულყოფას. საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქმედი კანონმდებლობა მონაცემთა ბაზების დაცვის შესახებ ვერ უზრუნველყოფს ბაზების შემქმნელთა ქონებრივ ინტერესებისა და მოსარგებლეთა ინტერესების თანაფარდობით სასამართლო სტანდარტების დადგენას.

პრობლემის გადაყვეტა ეფუძნება მონაცემთა ბაზების სამართლებრივის დაცვის ხერხების გაფართოებას. ამ მიმართულებით განმარტებულია «სუი გენერის» ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება და საქართველოს კანონმდებლობაში მისი სრულფასოვანი იმპლიმენტაციის აუცილებლობა. შესაბამისად, სასამართლო განხილვის სტანდარტების ჩამოყალიბების ოპტიმალურ საშუალებად მიჩნეულია მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა სანივთო და ინტელექტუალური საკუთრების, ინფორმაციის და ინფორმაციული უსაფრთხოების სამართლებრივი დაცვის სპეციალური რეჟიმის გამოყენებით.

#### **RESUME**

The paper covers the issues of reviewing the legal framework of data protection. Analysis of Georgian Judicial practice makes it clear that the current legislation on data protection is not viable to strike the balance between the commercial interests of data owners and the us-

ers and set the standards of judicial conduct.

Solving the problem is based on broadening the scope of data protection legal framework. In this regard the legal definition of the term of 'sui generis' is provided and the need of its full implementation in the Georgian legislation is justified. Therefore, resolving the data protection disputes via employing the special legal regimes of property and intellectual property, information and information security is considered as the optimal solution of setting the standards of judicial review.

## **21. ამირან ზენაიშვილი**

*საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის  
პროფესორი*

*David Aghmashenebeli University of Georgia, Professor*

### **მართლმსაჯულების აქტუალური პრობლემები საქართველოს ორგანულ კანონ „საქართველოს შრომის კოდექსი“-ში და მათი დაძლევის გზები**

#### **რეზიუმე**

საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვას მოყვარიგი მართლმსაჯულების პრობლემები. ნაშრომში განხილულია საკითხები მისი გადაჭრის გზების შესახებ რაც აქტუალურია საზოგადოებისთვის და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

სოციალური დიალოგი ქვეყნის დემოკრატიულობის განსაზღვრის ერთ—ერთი უმთავრესი ინდიკატორია, საზოგადოების მნიშვნელოვან ფენას მშრომელი ადამიანები წარმოადგენენ - დასაქმებულები რომლებიც ქმნიან დოვლათს და ხელს უწყობენ ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნებას.

კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოებრი-

ვი ჩარევის მინიმალიზაცია არ შეიძლება გახდეს სამოქალაქო საზოგადოების დაუცველობის სინდრომი, სახელმწიფო ერთის მხრივ უნდა შეეცადოს საკანონმდებლო აქტებით არ შეასუსტოს ბიზნესის თავისუფლად განვითარება, ხოლო მეორეს მხრივ დაიცვას თავისი მოქალაქეები მონური შრომისაგან ან სოციალური არათანასწორობიდან მდიდარი დამსაქმებლების მხრიდან. სოციალური დიალოგის წარმოებისას მსოფლიოში აპრობირებული მეთოდი დასაქმებულთა უფლებების ზეწოლის ბერკეტად გაფიცვის უფლების გამოყენება, სწორედ ამ უფლების საშუალებით არის შესაძლებელი დამსაქმებელთან სოციალური დიალოგის წარმოებისას მხარეები იყვნენ თანასწორნი, რაც შეთანხმების მიღწევის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია.

გაფიცვა ადამიანის ძირითადი სოციალური უფლებაა, რომელიც განიხილება როგორც აუცილებელი ელემენტი წარმატებული კოლექტიური მოლაპარაკებისთვის და როგორც დამსაქმებელი-დაქირავებულის უთანასწორო ურთიერთობის შემსუბუქების ინსტრუმენტი. კანონისმიერი განმარტებით გაფიცვა არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

## RESUME

After practicing the legislative charges to the Labour Code Of Georgia, judicial problems have arose. Here are discussed the ways of solution which are relevant to society and will promote common judicial practice.

Social dialogue is one of the major indicators for determining the democracy, the significant part of society represent the working people - employees, who create wealth and contribute to the preservation of the country's stable economic sustainability.

Minimization of state intervention in private legal relations of civil society can not be a situation of insecurity, the state on one hand with the legislative base must try not to weaken the development of

the business freely, and on the other hand, to protect its citizens from forced labor, or social inequality from the rich employers. During social dialogue it is approved method all around the world to use the strike of workers as an available suppressing method over the employers, and at the same time the parties are equal in the production of social dialogue, which is one of the major components of reaching an agreement.

The strike is a fundamental human right to be utilized, which is regarded as a successful employer-employee items for successful collective bargaining and as a tool to alleviate the unequal relations. Successful social dialogue is considered as one of the basic indicator for defining democracy in the country. By law, a strike is a employees' right temporary voluntary refusal to fulfill contractual obligations, wholly or partially.

## **22. დავით ლობჯანიძე**

**DAVID LOBJANIDZE**

**სარჩელთან დაკავშირებული პრობლემები მართლმსაჯულებაში**

**Problems related to the claim in justice**

### **რეზიუმე**

მუშაობის შედეგად ჩამოვყალიბეთ შემდეგი სარეკომენდაციო წინადადებები:

ზოგჯერ პრაქტიკაში სარჩელის შეცვლად თვლიან სარჩელის ობიექტის გაზრდას. განსხვავებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სარჩელის ობიექტის შეცვლა, მათ შორის მისი ოდენობის გადიდება, არ შეიძლება ჩაითვალოს სარჩელის შეცვლად. შესამაბისად, იგი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ეტაპზე პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ არა -სააპელაციო სასამართლოში.

არასწორია სასამართლო პრაქტიკა, როდესაც შეგებებული

სარჩელის იმ საფუძვლით მიუღებლობის შემთხვევაში, რომ არ არსებობს პირვანდელ სარჩელთან მისი განხილვის წინაპირობები, სასამართლოებს გამოაქვთ განჩინება 186-ე მუხლის ანალოგიით და შეგებებული სარჩელის ავტორებს აძლევენ უფლებას, გაასაჩივრონ ეს განჩინება კერძო საჩივრით. აღნიშნულ შემთხვევაში განჩინება არ საჩივრდება, ხოლო, თუ სარჩელი არ იქნა მიღებული 186-ე მუხლის საფუძვლით, მაშინ ამ განჩინების გასაჩივრება დასაშვებია. ასეთ არასწორი პრაქტიკა მომავალში უნდა გამოსწორდეს.

აღიარებითი სარჩელი ამოღებულ უნდა იქნეს საპროცესო კოდექსიდან, რადგან სარჩელი აღიარებითია თუ მიკუთვნებითი, ეს საკითხი დოქტრინის საქმეა და არა, კანონის რანგში განსაზღვრული. აღიარებითი სარჩელის აღსაძვრელად კანონი მოითხოვს იურიდიული ინტერესის არსებობას, რაც არა მხოლოდ აღიარებით სარჩელში, არამედ მიკუთვნებით სარჩელშიც არის საჭირო. კანონის მოთხოვნა, რომ მარტოოდენ აღიარებით სარჩელში მიეთითოს იურიდიული ინტერესი, ხშირად ხდება სასამართლოთა მხრიდან სხვაგვარი განმარტების და სარჩელის უსაფუძვლოდ მიუღებლობის მიზეზი, რაც არღვევს მოსარჩელეთა უფლებებს და ფორმალურს ხდის იურიდიული ინტერესის აღნიშვნას სარჩელში. აღიარებითი სარჩელის ამოღებით კი სარჩელის წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებული ბევრი სამართლებრივი უხერხულობა მოიხსნება.

## RESUME

As a result of work we established following references:

Sometimes in practice it happens so that the as an alteration of a claim the increase of claim's subject is considered. The difference carries practical meaning. Changing the claim's subject, including the increase of its amount cannot be considered as change of claim itself. Relevantly, it may be carried out at any stage at First Instance Court but not at – Appellation one.

The court practice when in case of waiving the responding claim for

the reason which states that there are no preconditions for examining it with the claim, the court instances make resolution with the analogue to Article 186 and the authors of responding claim are given right to appeal this resolution as private claim. In mentioned case the resolution cannot be appealed and if the claim is not accepted with the ground given in Article 186 then it is impossible to appeal this resolution. Such wrong practice has to be improved in future.

The acknowledging claim has to be taken out from Process Code because no matter claim is acknowledging or possessive this is the issue of doctrine and not determined subject to law. For raising the acknowledging claim law requires the existence of legal interest, which not only in acknowledging claim but also in possessive one is necessary. Legal requirement that only in acknowledging claim the legal interests have to be mentioned often becomes the reason for waving the claim without any ground and otherwise being interpreted from court instances which breaches the rights of claimer and makes the denotation of legal interest in claim as official. Taking out the acknowledging claim many legal inconveniences related to the acceptance of claim under proceeding will be annulled.

## **23. ზურაბ ჭყონია**

### **ZURAB CHKONIA**

*სამართლის მეცნიერთა კავშირის თავმჯდომარე, კავკასიის  
საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,  
სამართლის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „სამართალი  
და მსოფლიოს მთავარი რედაქტორი, ევროპის უნივერსიტეტის  
სამართლის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის  
მეცნიერ-თანაშრომელი.*

*Head of the Union of legal scientists, Assistant-Professor at the  
Caucasus International University, general editor of the international*

## **რამდენიმე რეკომენდაცია მართლმსაჯულების აღსრულების ეფექტიანობისათვის**

### **Several recommendations for effectiveness of execution of Justice**

#### **რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია მართლმსაჯულების აღსრულების არსი, ასევე მისი მნიშვნელობა, როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიური და სოციალური თვალსაზრისით. ავტორი ითვალისწინებს რა თანამედროვე სამყაროში მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ფონზე გადაწყვეტილების აღსრულების უაღრესად დიდ მნიშვნელობას, სააღსრულებო დავათა სპეციფიკას და სასამართლოებში საქმეთა სიმრავლეს და შესაბამისად მოსამართლეთა დატვირთულობას, აღსრულების ეფექტურობის და საქმის წარმოებისას კანონიერების პრინციპის უკეთ დაცვის მიზნით გამოდის შემდეგი რეკომენდაციებით:

1. რაიონულ სასამართლოებში დაემატოს „აღსრულების მოსამართლის“ თანამდებობა, რომელიც განიხილავს სააღსრულებო წარმოების დროს წარმოშობილ დავებს და გადახდისუუნარობის საქმეებს, როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესებით, დავის საგნის მიხედვით;

2. საქალაქო სასამართლოებში შეიქმნას ცალკე აღსრულებისა და გადახდისუუნარობის საქმეთა კოლეგია;

3. სააპელაციო სასამართლოებში და ასევე უზენაეს სასამართლოში შეიქმნას ცალკე აღსრულებისა და გადახდისუუნარობის საქმეთა პალატები.

#### **RESUME**

The paper discusses the concept of the execution of justice, as well as its meaning, in legal, economic and social perspective. The author considers the great significance of the execution of decision in view of

an economic crisis in a modern world, the specifics of the execution disputes and overload of cases at courts, and consequently overwork of judges, effectiveness of execution and with the purpose to ensure better defense of principle of legality during case trial, gives the following recommendations:

1. The post of a “execution judge” shall be added at regional courts, who will examine the disputes raised during the executive procedures and cases of insolvency, by civil, as well as by administrative law procedures, with regard to the subject matter of a dispute.
2. The separate boards for execution and insolvency cases shall be introduced at civil courts;
3. Separate board for execution and insolvency cases shall be created at Appellate and High Court as well.

## **24. თამარ შოთაძე**

### **TAMAR SHOTADZE**

*სამართლის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი*  
*Doctor of Law, The Ivane Javakhishvili Tbilisi State University, as-*  
*sistant- professor*

### **სამომავლო საკუთრების უფლების აღიარების პრობლემები ქართულ მართლმსაჯულებაში**

### **Future recognition of property rights problems in Georgian Justice**

#### **რეზიუმე**

წინამდებარე სტატია მიზანად ისახავს სამომავლო საკუთრების უფლების სანივთო უფლებად აღიარებისა და უფლების აღნიშნულ კატეგორიასთან დაკავშირებით სასამართლოს გად-ანწყვეტილების კრიტიკულ ანალიზს. სტატიაში განხილულია

2015 წლის 5 ივნისის საქართველოს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება. სტატიის მიზანია უძრავ ქონებაზე არსებულ უფლებათა სტატუსის განსაზღვრა საქართველოს და ევროპული კერძო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების გათვალისწინებით. ვინაიდან სასამართლოს მიერ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული მონაცემისათვის არასწორი სამართლებრივი შეფასების მიცემას დავის არასწორად და არაკვალიფიციურად გადაწყვეტისკენ მივყავართ. იქიდან გამომდინარე რომ ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა, მთელი რიგი მონაცემების დაკავშირება უძრავ ქონებასთან, რომელთა სამართლებრივი სტატუსი კანონმდებელს წინასწარ არ აქვს განსაზღვრული, იწვევს ასეულობით მოქალაქის შეცდომაში შეყვანას, იძლევა ვარაუდის შესაძლებლობას, რომ რაც რეგისტრირებულია საჯარო ადმინისტრაციული აქტით, მხარადჭერილი და დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ. სამწუხაროდ ეს ასე არ არის, რამაც მთელი სიმწვავეით თავი იჩინა სამშენებლო ურთიერთობებში, როდესაც მოქალაქეებს ასითასობით შესრულებული ვალდებულებები დაუცველი დარჩათ, იმ მიზეზით რომ სახელმწიფო ზუსტ შეფასებას არ აძლევს სამომავლო მესაკუთრის სტატუსს. თითოეული მენაშენის მიზანს წარმოადგენდა 100% შესრულებული ვალდებულების სანაცვლოდ ინდივიდუალურ ფართზე საკუთრების უფლების წარმოშობა. სამომავლო საკუთრების ფლება უკავშირდებოდა არა მშენებლის მიმართ პერსონალურ მოთხოვნებს, არამედ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემას, რაც თავისი შინაარსით სანივთო მოთხოვნაა და შესაბამისად ნივთთან დაკავშირებული სანივთო უფლება.

## RESUME

Aim of the present article is to provide critical analysis of the court ruling with respect to recognition of future ownership right as property right and the given category of right. Article reviews ruling of the Board of Administrative Cases of Tbilisi Court of Appeal dated June 5th, 2015.

Purpose of the article is to determine status of rights to real estate with consideration of fundamental principles of Georgian and European Private Law because granting inaccurate legal evaluation to registered references to real estate leads to incorrect and unqualified resolution of dispute. Development of economic relations necessitated association of number of references to real estate legal status of which is not defined by law-makers in advance, though hundreds of citizens are mistaken as this gives rise to assumption that everything being registered under public administrative act will be supported and defended by the state. Unfortunately, this is not the main point that has been demonstrated during construction related relationships where hundreds of thousands of obligations fulfilled by citizens remained unprotected by reason that state fails to provide exact assessment of future owner's status. Purpose of each such citizen was to acquire title to individual area in exchange for obligations fulfilled by 100%. Future title was related not to personal demands of a builder but to transfer of title to real estate that by its content is property demand and respectively, a property right related to property.

## **25. გურამ როსტიაშვილი, გია დეკანოზიშვილი**

### **GURAM ROSTIASHVILI, GIA DEKANOZISHVILI**

*საქართველოს სასამართლო მეცნიერებათა აკადემიის ბორდის  
წევრი, ასოცირებული პროფესორი  
Member of Georgian Academy of Forensic Sciences,  
associate Professor*

### **ექსპერტიზა და მართლმსაჯულების პრობლემები**

#### **Expertise in the Criminal Law Procedure**

## რეზიუმე

ნაშრომში „ექსპერტიზა სისხლის სამართლის პროცესში“ განხილულია ექსპერტიზასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები და ნათლად არის არგუმენტირებული ის მოსაზრებები, რომლებიც ეწინააღმდეგება თუ ეთანხმება დღემდე არსებულ სამართლებრივ ნორმებსა, თუ მეცნიერულ თეორიებს. უნდა ითქვას, რომ ექსპერტიზასთან დაკავშირებულ საკითხებს არაერთი ნაშრომი აქვს მიძღვნილი. თუმცა რიგი საკითხები კვლავ შესასწავლი და დასახვეწია.

ნაშრომში ცალსახადაა გამოთქმული მოსაზრება, სისხლის სამართლის პროცესში ექსპერტიზის მნიშვნელობაზე და განსაზღვრულია მისი ადგილი.

ნაშრომში განვითარებულია მოსაზრება, რომ ექსპერტიზა არ განეკუთვნება სისხლის სამართლის პროცესის შესწავლის სფეროს, თუმცა იგი დიდ როლს ასრულებს სამართალ წარმოებაში.

ნაშრომში განსაზღვრულია, რომ ექსპერტიზა წარმოადგენს კვლევის დამოუკიდებელ დარგს, რომელსაც გააჩნია საკუთარი კვლევის საგანი, დამოუკიდებელი მიზნები და ამოცანები. სწორედ ეს გარემოება ანიჭებს მას განსაკუთრებულ თვისებას, რომ ექსპერტის დასკვნა წარმოადგენს დამოუკიდებელი მტკიცებულების წყაროს.

## RESUME

The work “Expertise in the Criminal Law Procedure” discusses the major problems related to expertise. The considerations that contradict or agree the legal norms and scientific theories existing up today are well-reasoned. It should be stated that a lot of works have been dedicated to the issues related to expertise; though, a number of issues should be studied and improved.

The consideration about the significance of expertise in the criminal law procedure is unambiguously stated in the work and is determined its place. The idea that expertise does not belong to the sphere of studying criminal law procedure is developed in the work, though it

is very important in legal proceeding.

It is determined in the work that expertise is an independent filed of research which has its own subject of research, goals and objectives.

The goal and objectives of expertise are not solution of legal issues, carrying out investigatory and procedural activities and fight against crime. This is what distinguished it from other fields of juridical sciences. Namely this fact gives it a special peculiarity that an expert's conclusion is a source of independent evidences.

## **26. თამარ გვასალია**

*კავკასიის უნივერსიტეტის მაგისტრანტი  
საქართველოს სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის  
სპეციალური წარმომადგენელი*

### **ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები (საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა)**

#### **რეზიუმე**

წინამდებარე სტატია ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებას, რომლითაც რეალურად დამკვიდრდა ახალი საპროცესო სამართლებრივი მექანიზმი-ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახით. ფარული საგამოძიებო მოქმედებების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგლამნტირება ეფუძნებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ამაღლებას. ნაშრომში ყურადღება გამახვილდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე, მის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებსა და გარანტიებზე. სტატიის ფარგლებში ჩამოვაყალიბეთ კონსტიტუციის მოთხოვნები მე-20 მუხლით დაცული სამართლებრი-

ვი სიკეთის შეზღუდვის მიმართ, მიმოვიხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის კუთხით. ამასთან, სტატია არ შემოიფარგლება მხოლოდ შიდა კანონმდებლობის ანალიზით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად გამოვყავით რამდენიმე მნიშვნელოვანი სტანდარტი და საბოლოო ჯამში მოვახდინეთ საპროცესო კოდექსით განსაზღვრული მექანიზმების შესაბამისობის დადგენა აღნიშნულ სტანდარტებთან. კვლევის შედეგად დავადგინეთ რომ, დღეს არსებული რეგლამენტირება შეიცავს უფრო მაღალ გარანტიებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის კუთხით თუმცა ღიად რჩება მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები რომელებიც საკანონმდებლო ცვლილებების გზით უნდა მოგვარდეს.

## RESUME

In this work we have considered one of the acute points of modern criminal justice of Georgia-covert investigation actions. we have separated negative and positive parts of these changes and discussed about this changes alongside with the consideration of foreign countries law and practices.

After the consideration all above mentioned points and the data of comprehensive research, we emphasized on the operative investigation activities and the constitutional guarantees of human rights protection. Particularly we discussed about the article of 20th of Georgian constitution and the essence of right of privacy. Under this topic, we clarified that rights to inviolability of the private life is not absolute right and said that, It may be restricted in order to achieve the legitimate goals provided for the constitution that is necessary for the democratic state, but restriction of the right comply with certain requirements. After the attributive of the foremost idea of the right of privacy we made a comprehensive research and analysed law in accordance with the constitutional guarantees.

The foremost issues were processing by the consideration of the practice of European court of human rights which help us to determine,  
- is Georgian law in appropriate with the European challenges?